



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 7/52

2022წლის 28 ივნის

### ქალაქი ფოთი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ სატრანპორტო საშუალება FORD CARGO 1824 (რეგისტრაციის ნომერი BK820KB, გამოშვების წელი 2007, ტიპი - სპეციალიზებული)-ზე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრისათვის“ უსასყიდლო სარგებლობის (თხოვება) უფლების შეწყვეტასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის, 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების შესაბამისად,

#### მუხლი 1.

მიეცეს თანხმობა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ სატრანსპორტო საშუალება FORD CARGO 1824 (რეგისტრაციის ნომერი BK820KB, გამოშვების წელი 2007, ტიპი - სპეციალიზებული)-ზე უსასყიდლო სარგებლობის (თხოვება) უფლება შეუწყვიტოს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრს“ (ს/კ 415101507).

#### მუხლი 2.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს სატრანსპორტო საშუალება FORD CARGO 1824 (რეგისტრაციის ნომერი BK820KB, გამოშვების წელი 2007, ტიპი - სპეციალიზებული)-ის ელექტრონული აუქციონით პრივატიზებასთან დაკავშირებით მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.

#### მუხლი 3.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

#### მუხლი 4.

განკარგულება ძალაშია 2022 წლის 28 ივნისიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე



ალექსანდრე ტყებუჩავა